


მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების გარე ექსპერტის შეფასების გზამკვლევი ივნისი 2018



Georgian language translation courtesy of the National Bank of Georgia and review by TBC Capital

2018

გარე ექსპერტის შეფასების გზამკვლევი

შესავალი

მწვანე ობლიგაციის პრინციპები (მოპ), სოციალური ობლიგაციის პრინციპები (სოპ) და მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევი (შემდგომში „პრინციპები“) რეკომენდაციას იძლევა, რომ მწვანე, სოციალური ან მდგრადი განვითარების პროგრამის ან ობლიგაციის ემისიისას ემიტენტმა თავისი პროგრამის ან ობლიგაციის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან თავსებადობის დასაბუთებლად, მიმართოს გარე ექსპერტის შეფასებას.

გზამკვლევი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გარე ექსპერტის შეფასების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას. იგი შეესაბამება პრინციპებს და არსებულ სხვა შესაბამის სახელმძღვანელოებს, როგორიცაა, მაგალითად, კლიმატის ობლიგაციის სტანდარტის უზრუნველყოფის ჩარჩო (Assurance Framework for the Climate Bond Standard); მწვანე ობლიგაციის შეფასებისა და სერტიფიცირების სახელმძღვანელო პრინციპები (Guidelines for the Conduct Assessment and Certification of Green Bonds), რომელიც გამოშვებულია ჩინეთის სახალხო ბანკისა და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომისიის მიერ; ევროკავშირის მწვანე ობლიგაციის სტანდარტების პროექტი, რომელიც შემუშავებულია მდგრადი დაფინანსების მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის (HLEG) მიერ და ASEAN მწვანე ბონდის სტანდარტები.

აღნიშნულ გზამკვლევაში წარმოდგენილია პროფესიული და ეთიკური სტანდარტების პრინციპები იმის თაობაზე თუ როგორ განისაზღვროს ანგარიშის შინაარსი და მოხდეს მისი გამჟღავნება გარე ექსპერტებისა თუ ორგანიზაციების მიერ. ასევე, გზამკვლევი არის ნებაყოფლობითი ხასიათის და წარმოადგენს პრინციპების აღმასრულებელი კომისიისა და წამყვან გარე ექსპერტებს საერთო ინიციატივას, რომელიც ასევე მხარდაჭერილია ICMA-ის სამდივნოს მიერ.

გზამკვლევის დამკვიდრება წარმოადგენს კერძო სექტორიდან წამოსულ ინიციატივას და მისი მიზანია ემიტენტებს, ანდერრაიტერებს, ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია და გამჭვირვალე გახადოს გარე ექსპერტის მიერ შეფასების პროცედურები. ეს გზამკვლევი შემუშავებულია სხვადასხვა ჩართული მხარის შეხედულებებზე დაყრდნობით და მისი განახლება მოხდება პერიოდულად ბაზრის მონაწილეებისაგან უკუკავშირის საფუძველზე.

გარე ექსპერტის შეფასების სახეები

არსებობს სხვადასხვა წყარო მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციის პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე განსხვავდება შეფასებების სახეები და დონეები, რომლებიც ბაზარს მიეწოდება.

დამოუკიდებელი გარე ექსპერტის შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს მასშტაბის მიხედვით და მოიცავდეს მწვანე ობლიგაციის ჩარჩოს/პროგრამის, ინდივიდუალური მწვანე ობლიგაციის გამოშვების, ძირითადი აქტივების ან/და პროცედურების შეფასებას. ეს შეფასებები დაყოფილია ფართო კატეგორიებად და ზოგიერთი შემფასებელი სთავაზობს ერთზე მეტი კატეგორიის მომსახურებას, ცალკე ან კომბინირებულად:

1. **მეორე მხარის მოსაზრებები:** ინსტიტუტს, რომელსაც ექსპერტიზა გააჩნია გარემოსდაცვითი, სოციალური და მდგრადი განვითარების საკითხებში და ემიტენტისგან დამოუკიდებელია, შეუძლია გასცეს მეორე მხარის მოსაზრებები. ინსტიტუტი უნდა იყოს მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციის ჩარჩოს საკითხებში ემიტენტის მრჩეველისგან დამოუკიდებელი ან ინსტიტუტში უნდა არსებობდეს შესაბამისი პროცედურები, როგორიცაა, მაგალითად, საინფორმაციო ბარიერები, რაც მეორე მხარის მოსაზრებების დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

მეორე მხარის მოსაზრებები, როგორც წესი, მოიცავს პრინციპებთან შესაბამისობის შეფასებას. კერძოდ, მასში შეიძლება შეფასდეს ემიტენტის ფართო მიზნები, სტრატეგია, გარემოსდაცვითი და/ან სოციალურ მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და/ან პროცესები. აგრეთვე, იგი შეიძლება მოიცავდეს ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენებისათვის განკუთვნილი პროექტების გარემოსდაცვითი და/ან სოციალური მახასიათებლების შეფასებას.

2. **დამოწმება:** ემიტენტს შეუძლია მიიღოს დამოუკიდებელი დამოწმება განსაზღვრული კრიტერიუმების მიმართ, რაც, როგორც წესი, ეხება ბიზნეს პროცესებს და/ან გარემოსდაცვით/სოციალურ/მდგრადი-განვითარების კრიტერიუმებს. დამოწმება შეიძლება ორიენტირებული იყოს შიდა ან გარე სტანდარტებზე ან ემიტენტის მიერ გაცხადებულ პროცედურებთან შესაბამისობის დადგენაზე. ასევე, დაკავშირებული აქტივების გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის მახასიათებლების შეფასებას შეიძლება ეწოდოს შესაბამისობის შემოწმება და შეიძლება ეფუძნებოდეს გარე კრიტერიუმებს. ემიტენტის მიერ ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების შიდა დაკვირვების მეთოდის, მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციის ემისიიდან

მიღებული თანხების განაწილების, გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზეგავლენის შესახებ განაცხადის ან ანგარიშგების პრინციპებთან შესაბამისობის დასაბუთება და ატესტაცია ასევე შეიძლება ჩაითვალოს დამოწმებად.

3. **სერტიფიცირება:** ემიტენტს შეუძლია განახორციელოს მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების ან მისი ემისიის ჩარჩოს ან ემისიის გზით მიღებული თანხების გამოყენების პროცედურების სერტიფიცირება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის ან ეტიკეტის მიხედვით. სტანდარტი ან ეტიკეტი განსაზღვრავს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელთან შესაბამისობასაც ამოწმებს კვალიფიციური, აკრედიტებული მესამე მხარე, რომელსაც შეუძლია დაამოწმოს სერტიფიცირების კრიტერიუმთან თავსებადობა.
4. **მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციისთვის ქულის/რეიტინგის მინიჭება:** ემიტენტს შეუძლია მოახდინოს თავისი მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების; მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს ან სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების, როგორიცაა ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების შეფასება აღიარებული სარეიტინგო მეთოდოლოგიის მიხედვით კვალიფიციური მესამე მხარის მიერ, როგორებიცაა სპეციალიზებული კვლევითი ცენტრები ან სარეიტინგო სააგენტოები. შედეგები შეიძლება მოიცავდეს გარემოსდაცვითი და/ან სოციალური მიმართულებით მუშაობის შეფასების მონაცემებს და პროცესებს პრინციპების ან სხვა ნიშნულის მიმართ. მსგავსი ტიპის ქულა/რეიტინგი განცალკევებულია ემიტენტის საკრედიტო რეიტინგისგან, რაც მიუხედავად ამისა შეიძლება მატერიალურ გარემოსდაცვით/სოციალურ/მდგრადი-განვითარების რისკებსაც ასახავდეს.


პრინციპებში გააზრებულია, რომ გარე ექსპერტის შეფასება შეიძლება იყოს ნაწილობრივი, რომელიც მოიცავს ემიტენტის მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების ან შესაბამისი მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს. ასევე, გარე ექსპერტის შეფასება შეიძლება იყოს სრული, რა შემთხვევაშიც იგი ითვალისწინებს პრინციპების ოთხივე ძირითად კომპონენტთან შესაბამისობის დადგენას. პრინციპები ითვალისწინებს, რომ გარე ექსპერტის შეფასების დროითი განრიგი შეიძლება დამოკიდებული იყოს ემისიის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების ხასიათზე, ხოლო შეფასების გამოქვეყნება შეიძლება იზღუდებოდეს ბიზნესის კონფიდენციალურობის მოთხოვნებით.

ეთიკისა და პროფესიონალური სტანდარტები გარე ექსპერტებისთვის

სხვადასხვა სახის კომპანიებმა შეიძლება გაწიონ გარე ექსპერტის შეფასების მომსახურება ზემოთ მოცემული განმარტებების შესაბამისად. ამ კომპანიების საქმიანობათა მხოლოდ გარკვეული ნაწილი ექცევა ბუღალტრული ფირმებისა და სხვა რეგულირებული საკრედიტო სააგენტოების პროფესიონალური სტანდარტებისა და/ან რეგულაციების ჩარჩოში. ფირმები, რომლებიც გასწევნ გარე ექსპერტის შეფასების მომსახურებას, უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგი ხუთი ფუნდამენტალური და პროფესიონალური პრინციპით:

1. მთლიანობა
2. ობიექტურობა
3. პროფესიული კომპეტენცია და შესაბამისი ქცევა
4. კონფიდენციალობა
5. პროფესიონალური ქცევა

ზოგიერთი გარე შეფასების ექსპერტი შეიძლება უკვე ექვემდებარებოდეს არსებულ პროფესიულ სტანდარტებს (მაგ. პროფესიონალი ბუღალტრები) და/ან რეგულატორულ მოთხოვნებს (მაგ., რეგულირებული საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები), რომელთა კომპონენტებიც უკვე მოიცავს ამ ნებაყოფლობითი გზამკვლევის ძირითად მიზნებს. არსებობს მრავალი უზრუნველყოფის მომსახურების პროფესიონალური სტანდარტი (assurance service professional standards) და სხვა ინდუსტრიისთვის სპეციფიკური ქცევის კოდექსი, რომელსაც გარე ექსპერტმა უნდა მიმართოს მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციის ემიტენტისთვის მომსახურების გაწევისას. მაგალითად, გარე ექსპერტმა განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს International Code of Ethics for Professional Accountants –ის 4B სექციას (Independence for Assurance Engagements other than Audit and Review Engagements), Attestation Standards -ს, რომელიც გამოშვებულია სერტიფიცირებულ საჯარო ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტის (the American Institute of Certified Public Accountants) მიერ, და სხვა ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებს: ISAE 3000 (Revised); Assurance Engagements Other than Audits or Reviews of Historical Financial Information; IESBA Handbook of the Code of Ethics of Professional Accountants, section 291 Independence - Other Assurance Engagements; და AICPA Code of Professional Conduct (AICPA Code). ზოგიერთ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ISO 9001 და ISO 14065-ის შემოღებული სტანდარტი და Association for Responsible Investment Services (ARISE) -ის სერტიფიცირება.



გარე ექსპერტის შეფასების შინაარსი და ორგანიზება

რეკომენდირებულია გარე ექსპერტის შეფასება ადასტურებდეს პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან შესაბამისობას. შეფასების ანგარიშის სტანდარტულ ნაწილს წარმოადგენს ასევე იმ შაბლონების შევსებაც, რომლებიც რესურსცენტრის ვებგვერდზეა განთავსებული.

გარე ექსპერტმა მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციის შეფასებისას უნდა უზრუნველყოს:

1. ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო პროცედურების და სხვა შესაბამისი სისტემების არსებობა, რომლებიც ასეთი გარე შეფასების განხორციელებას სჭირდება.
2. შესაბამისი პერსონალის არსებობა, რომელსაც გააჩნია საჭირო გამოცდილება და კვალიფიკაცია გარე შეფასების ფარგლებში.

გარე ექსპერტის შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ან, სულ მცირე, მითითებას თუ სად შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი ეს ინფორმაცია:

1. მიზნის ზოგადი აღწერილობა, სამუშაოს მოცულობა და გარე ექსპერტის კვალიფიკაცია.
2. განაცხადი დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის შესახებ.
3. განმარტებები, გამოყენებული ანალიტიკური მიდგომა და/ან მეთოდოლოგიები.
4. გარე ექსპერტის შეფასების საბოლოო ანგარიში ან დასკვნები, რომლებიც ასევე მოიცავს გარე ექსპერტის შეფასებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

გარე ექსპერტის შეფასების სახიდან (მაგ: მეორე მხარის მოსაზრებები, დამოწმება, სერტიფიცირება, მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციისთვის ქულის/რეიტინგის მინიჭება) გამომდინარე, გარე ექსპერტებს ევალებათ:

1. ჰქონდეთ გამოცდილება მწვანე და სოციალური ობლიგაციების კატეგორიებში.
2. შეაფასონ მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციებით დაფინანსებული მწვანე და/ან სოციალური პროექტების მწვანე და/ან სოციალური სარგებელი და მიზნობრივი ზემოქმედება.
3. დაადასტურონ/შეაფასონ პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან შესაბამისობა.
4. სადაც საჭიროა შეაფასონ ემიტენტის მიერ იდენტიფიცირებული, პროექტთან დაკავშირებული არსებითი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური რისკები.

გარე შეფასებების გამოქვეყნება

პრინციპები რეკომენდაციას უწევს გარე ექსპერტის შეფასების გასაჯაროებას ობლიგაციის ემიტენტის ვებ-გვერდზე განთავსებით და/ან სხვა ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებით ობლიგაციის ემისიისას ან მანამდე. ასევე რეკომენდირებულია გარე ექსპერტის შეფასების შაბლონის განთავსება რესურსცენტრის¹ ვებ-გვერდზე.

ავტორები

ეს პრინციპები არის ნებაყოფლობითი ხასიათის და შექმნილია წამყვან გარე ექსპერტებთან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ორგანიზაციების სრული სია გთხოვთ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/>.

¹ გარე ექსპერტის ან ემიტენტის თხოვნის საფუძველზე, მოსაზრება შეიძლება წაიშალოს პრინციპების რესურსცენტრის ვებ-გვერდიდან, თუ ის შეიცავს მოძველებულ ინფორმაციას ან ძალადაკარგულია.



Contact details

ICMA Paris Representative Office

62 rue la Boétie

75008 Paris

France

Tel: +33 1 70 17 64 70

greenbonds@icmagroup.org

socialbonds@icmagroup.org

sustainabilitybonds@icmagroup.org

www.icmagroup.org



Please scan to
download this brochure.